ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს

ბ - ნ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

მოგეხსენებათ მიმდინარე წლის 17 ივნისს ქ. ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მე - 13 სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო საკითხი: ,, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში საპროექტო განაცხადების განხილვა, შერჩევა და გამოვლენა'' რაც განსაზღვრულია ,,მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ'' ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 05 თებერვლის N 102 - ბრძანების დანართის თანახმად, კერძოთ ,, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილ ვადებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭო მერიის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით ახდენს პროექტების საბოლოო ანალიზს და გამოავლენს საუკეთესო განაცხადებს საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებათ " (მუხლი 4.5 / „ა").

ზემოაღნიშნული სხდომის ფარგლებში განხილვას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურების ხელმძღვანელი პირები, მოწვეულ ექსპერტები, სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ასევე საპროექტო განაცხადების ავტორები. სხდომაზე აქტიური განხილვისა და მსჯელობის შემდგომ გამოვლენილი იქნა 10 (ათი) საუკეთესო პროექტი რომელმაც სარეიტინგო ღია კენჭისყრის შედეგებით ყველაზე მეტი მხარდაჭერა მიიღო საბჭოს მხრიდან და მიეცა რეკომენდაცია საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებათ.

საჯარო ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდგომ (18 – 30 ივნისი) გამოვლინდა 3 (სამი) საუკეთესო პროექტი რომელმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვა, ესენია : 1) წარწერა „ბათუმი" ბათუმგორაზე #20058 – 357 ხმა. 2) ბათუმის ფრანების ფესტივალი # 20064 – 336 ხმა. 3) ნატვრის ხე #20047 – 287 ხმა.

,,მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ'' ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების დანართი 1-ს მუხლი 4.7 „გ" პუნქტის თანახმად ქ.ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ადასტურებს ხმის მიცემის პროცედურის შედეგებს.

საუკეთესო სურვილებით,

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

01. 06. 2019.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილება
№ 18134/2
01 07 2019
ფურცელი ____ ჟურნალი ____ დანართი

email : k.guchmanidze@gmail.com / mob: (+ 995) 577465146 / (+ 995) 599555512